თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №09

23 მარტი 2018 წ.

ქ. თელავი

## „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულებაში.

1. „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №6 განკარგულების დანართი „თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი*

თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა

| № | დასახელება ობიექტების | ჩასატარებელი სამუშაო | განხორციელების თარიღი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაბახნები,ზუზუმბო, ყადორი, მაწანწარა | არქეოლოგიური და დაზვერვითი სამუშაოების განხორციელება | I-II კვარტალი | 20 311 |
| 2 | თელავი.ისტორიული ქუჩის (აბანოს ქუჩის „ჯინუას ხევის) მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა | ისტორიული ძეგლების და ტერიტორიის დასუფთავების სამუშაოების განხორციელება | II-III-IV კვარტალი | 1 000 |
| 3 | ჩოლოყაშვილის ქ.N18 ჩრდილოეთის ეზოში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტის გადახურვის სამუშაოები | კულტურული მემკვდრეობის ძეგლების დაცვა, მოვლა-პატრონობა | I-II კვარტალი | 9 700 |
| 4 | ჩოლოყაშვილის ქუჩა | არქეოლოგიური სამუშაოები | II-III-IV კვარტალი | 20 000 |
| 5 | სოფ. თეთრიწყლები - კუნტუსის ნაქალაქარი | სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები | II-III კვარტალი | 32 000 |
| 6 | სანებართვო მოსაკრებელი | სანებართვო მოსაკრებელი | წლის განმავლობაში | 300 |
| 7 | საგანმანათლებლო ღონისძიებები და კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების პროექტების დაფინანსება | კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-კულტურული შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება; მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, | II-III-IV კვარტალი | 7 000 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სიმპოზიუმების, თათბირების, სემინარებისა და გამოფენების მოწყობა; კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გზამკვლევების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების ბეჭდვითი მომსახურება | | |
| 8 | ყორჩიბაშიშვილების ციხე | ჩრდილო - დასავლეთ ბურჯის რესტავრაცია | II-III-IV კვარტალი | 25 000 |
| | თანხა სულ | | | 115,311 |

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე